



MES 9 21 0000806287



20/08/2021

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2021 წლის 6 აგვისტოს**.

ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ბმულით, ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/87080312645?pwd=YXZlM0VBQXElN1R5K1htS2FCZjE0UT09>

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);

მარია ზაქარაიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის-„კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი, (საბჭოს მდივანი);

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

ნიკოლოზ მესხიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი)

თორნიკე ჯობავა - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

თორნიკე თოხაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტი - საბჭოს წევრი;

ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი ექსპერტი (საბჭოს წევრი)

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯი

რეზო შარაბიძე - დირექტორი;

მაკა ვარდოსანიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი;

მარიამ ნინიკაშვილი - პროგრამის განმახორციელებელი პირი (ტიხრული მინანქრის ნაკეთობის დამზადება);

ლალი მანთაშაშვილი - პროგრამის განმახორციელებელი პირი (ქალის ტანსაცმლის კერვა, შეკეთება, გადაკეთება).

შპს „ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსალტინგი“

ია ერაძე - შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ის დირექტორი

შპს სიო

გიორგი სიორდია - დირექტორი

სალომე სიორდია - საინფორმაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

ციცინო ნემსიწვერიძე - დამფუძნებელი

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზურაბ ხონელიძე - რექტორი

რომეო გალდავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

მარინა ფოჩხუა - მოლეკულური დიაგნოსტიკისა და ბიოტექნოლოგიების კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

ნინო აბესაძე - სს ევექსი ჰოსპიტლების სისხლის ბანკისა და ლაბორატორიული სერვისების კოორდინატორი

მაია ალხაზიშვილი - ლუგარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის უფროსი / სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი (NCDC)

ა(ა)იპ აგროსერვისი

სანდრო სოსიაშვილი - ტექნიკური დირექტორი

ლალი მამდარაშვილი - დონორებთან და სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობის მენეჯერი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:

მანანა კუპატაძე - ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯი
მანანა კობალაძე - ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯი
მავო ჯაოშვილი - შპს „ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსალტინგი“
თათია კაციტაძე - შპს სიო
ლელი შანიძე - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნიკოლოზ კიკნაველიძე - ა(ა)იპ აგროსერვისი

საბჭოს სხდომა დაიწყო 13:08 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა, რომ სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ, რეგულაციის მიხედვით, განადგურდება და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო **სხდომის დღის წესრიგი**:

1. შპს „ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსალტინგისთვის“ პროფესიული გადამზადების პროგრამაზე „მარკეტინგის და გაყიდვების სპეციალისტი - მარკეტერი“ /00847/ მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა
2. შპს სიოსთვის - „შინმოვლის სპეციალისტის“ /01155/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის - „ლაბორატორიის სამედიცინო ტექნიკური ასისტენტი“ /01138/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
4. ა(ა)იპ აგროსერვისისთვის - „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სპეციალიზებული სარეალიზაციო ობიექტის კონსულტანტი“ /01118/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს, სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ 4 აგვისტოს საბჭოს სხდომაზე ქვორუმის არ არსებობის გამო განსახილველი დარჩენილი საკითხები საბჭომ გადადო შემდეგ სხდომაზე, აღნიშნა რომ სხდომა დაიწყებოდა გადადებული საკითხების განხილვით.

განახლებული დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯისთვის - „ტიხრული მინანქრის ნაკეთობების დამზადება“ /01132/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
2. ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯისთვის - „ქალის ტანსაცმლის კერვა, შეკეთება, გადაკეთება“ /01133/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
3. შპს „ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსალტინგისთვის“ პროფესიული გადამზადების პროგრამაზე „მარკეტინგის და გაყიდვების სპეციალისტი - მარკეტერი“ /00847/ მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა
4. შპს სიოსთვის - „შინმოვლის სპეციალისტის“ /01155/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
5. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის - „ლაბორატორიის სამედიცინო ტექნიკური ასისტენტი“ /01138/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
6. ა(ა)იპ აგროსერვისისთვის - „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სპეციალიზებული სარეალიზაციო ობიექტის კონსულტანტი“ /01118/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

1. ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯისთვის - „ტიხრული მინანქრის ნაკეთობების დამზადება“ /01132/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ექსპერტის და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა დარგის ექსპერტმა მანანა კუპატაძემ. მან აღნიშნა, რომ ექსპერტს და საბჭოს აპარატს დაევალა პროფესიული მომზადების პროგრამის „ტიხრული მინანქრის ნაკეთობების დამზადება“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადის შესწავლა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით დაწესებულების წარმომადგენლებთან, რომელსაც ესწრებოდა ცენტრის წარმომადგენელი ლანა გაჩეჩილაძე. დისტანციური ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 26 ივლისს. კოლეჯმა უზრუნველყო შენობის/სასწავლო გარემოს დათვალიერება, ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

პროფესიული მომზადების პროგრამა - ტიხრული მინანქრის ნაკეთობათა დამზადება, მესამე დონე, სწავლების ენა - ქართული, პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა, მოთხოვნილი

მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 14, განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ქ. №52.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა რეკომენდაცია, კერძოდ:

1.6 ქვესტანდარტი - კურსდამთავრებულის წარმატებით დასაქმების მიზნით, სასურველია პროგრამას დაემატოს კომპონენტი, რომელიც გულისხმობს იმ სარეკლამო არხების, ინფორმაციის მიწოდებას მსმენელისათვის, რომლის საშუალებით იგი შეძლებს საკუთარი ნაწარმის რეალიზაციას. ასევე, ვინაიდან მინანქრის დამუშავებისას არის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების საფრთხე, სასურველია პროგრამას თემატიკის სახით დაემატოს უსაფრთხოების წესების დაცვის საკითხები.

თავის პრეზენტაციაში ექსპერტი შეეხო სამივე სტანდარტს და აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამა „ტიხრული მინანქრის ნაკეთობების დამზადება“ პროგრამის მიზნებით, თემატიკით და შედეგებით რეალისტური და მიღწევადია. პროგრამა ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებენ. გასაუბრების დროს კოლეჯის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ იქნებიან კონკურენტუნარიანი დასაქმების ბაზარზე. კოლეჯმა ასევე წარმოადგინა კვლევის დოკუმენტი, „მემინანქრის პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების საჭიროების შიდა კვლევის ანალიზი“, რომლის თანახმად, დაწესებულებაში სახელობო სწავლება პროექტის ფარგლებში, ხორციელდებოდა 2006 წლიდან. სატელეფონო და ციფრული მოკვლევის შედეგად, ცნობილია, რომ 90% დასაქმებულია საოქრომჭედლო/მინანქრის სახელოსნოებში ან თვითდასაქმებით. კოლეჯს მიმართა მინანქრის შემსწავლელი კურსებზე სწავლის მსურველმა დაახლოებით 70-მა პირმა. მოკვლევიანი პროგრამით ასევე დაინტერესებულია კოლეჯის პროფესიული სტუდენტები. კოლეჯის წარმომადგენლებმა გასაუბრებისას ასევე ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ მით უფრო პანდემიის პირობებში, პროგრამის კურსდამთავრებულებს ექნებათ თვითდასაქმების კარგი შესაძლებლობა. პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/ მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს.

რაც შეეხება პროგრამის სახელწოდებას, შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

კოლეჯს პროგრამის განხორციელებისათვის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს პროგრამის განმახორციელებელ ორ პირთან. პროგრამის განმახორციელებელ ორივე პირს დამთავრებული აქვს წმ. ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯი და აქვთ მინანქარზე მუშაობის რამდენიმე წლიანი გამოცდილება. დისტანციური გასაუბრება განხორციელდა მხოლოდ ერთ განმახორციელებელ პირთან, მას აქვს სწავლების გამოცდილება და რეგისტრირებული აქვს მიკრო ბიზნესი საიველირო საქმიანობისთვის.

ვიზუალური დათვალიერებით, გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ კოლეჯს აქვს მემინანქრის პროგრამის განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება და კურსდამთავრებულები დასაქმებული არიან საკმაოდ წარმატებით.

დაწესებულების დირექტორმა რეზო შარაბიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს განხორციელებული ვიზიტისათვის და აღნიშნა, რომ ცენტრი ყოველთვის ეხმარება სხვადასხვა საკითხების განხილვაში და ახალი წამოწყებების დროს მხარში უდგათ. ასევე, ვიზიტის დროს მათ მიიღეს მნიშვნელოვანი რჩევები და რეკომენდაციები ექსპერტისგან და გაითვალისწინეს და შემდგომშიც გაითვალისწინებენ სასწავლო პროცესშიც. მან დაამატა, რომ რეკომენდაციები მისაღებია და გათვალისწინებული იქნება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯისთვის - „ტიხრული მინანქრის ნაკეთობების დამზადება“ /01132/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 1(გიორგი ვეკუა)

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის №358 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად,

ა(ა)იპ ახალ პროფესიულ კოლეჯს (ს/კ: 404379070) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - „ტიხრული მინანქრის ნაკეთობების დამზადება“ /01132 (**დანართი 1**).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 6 აგვისტო.

საბჭოს სხდომას პირველი საკითხის დასრულების შემდეგ 13:35 საათზე შემოუერთდა მარიკა ზაქარეიშვილი.

2. ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯისთვის - „ქალის ტანსაცმლის კერვა, შეკეთება, გადაკეთება“ /01133/პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ექსპერტის და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ. მან აღნიშნა, რომ ექსპერტს და საბჭოს აპარატს დაევალა პროფესიული მომზადების პროგრამის „ქალის ტანსაცმლის კერვა, შეკეთება, გადაკეთება“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადის შესწავლა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით კოლეჯის წარმომადგენლებთან. დისტანციური ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 14 ივლისს. გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი.

პროფესიული მომზადების პროგრამა - ქალის ტანსაცმლის კერვა, შეკეთება, გადაკეთება, მესამე დონე, სწავლების ენა - ქართული, პროგრამის ხანგრძლივობა - 15 კვირა, მოთხოვნილი მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 20, განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ქ. №52.

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზები:

1.1 ქვესტანდარტი - წარმოდგენილი დოკუმენტი - „ქალის ტანსაცმლის კერვა, შეკეთება, გადაკეთება“ მომზადების პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება და კოლეჯის წარმომადგენლების ზეპირსიტყვიერი განმარტებები სათანადოდ ვერ ასაბუთებს, რომ პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების / მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს.

1.2 ქვესტანდარტი - პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე აქცენტი გაკეთებულია ტანსაცმლის მხოლოდ ტექნოლოგიურ დამუშავებაზე. პროგრამაში არ არის გათვალისწინებული თუ საიდან იღებენ მსმენელები თარგს, ასევე, არ ჩანს ქსოვილზე თარგის დაფენასთან და გამოჭრასთან დაკავშირებული საკითხები. პროგრამის დასახელებას სრულად არ პასუხობს პროგრამის შინაარსი.

1.3. ქვესტანდარტი - მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, მაგრამ არ არის შესაბამისობაში პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. კერძოდ, პროგრამის შედეგებში არ არის გათვალისწინებული ტანსაცმლის კერვის ძირითადი ეტაპები, როგორცაა ტანსაცმლის მოდელირება და კონსტრუირება. ასევე, პროგრამაში არ არის დაზუსტებული თარგთან დაკავშირებული საკითხები.

2.2 ქვესტანდარტი - პროგრამის ხანგრძლივობის მანძილზე მსმენელი ძირითად სასწავლო დროს ატარებს საკერავ მანქანასთან პრაქტიკულ მუშაობაში, ამდენად წარმოდგენილი საყოფაცხოვრებო ტიპის საკერავი მანქანების გათვალისწინებით, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა, მითუფრო, ხანგრძლივ, სამ წლიან პერიოდში არსებული მატერიალური რესურსით შეუძლებელია.

გაიკარგოს რეკომენდაცია 1.8 ქვესტანდარტთან მიმართებაში, კერძოდ:

1.8 ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია, პროგრამაში დაემატოს სწავლის სხვა მრავალფეროვანი მეთოდები როგორცაა: ინტერაქციული ლექცია, დემონსტრირება, ინსტრუქტაჟი, პრაქტიკული სავარჯიშო.

ლანა გაჩეჩილაძემ ყურადღება გაამახვილა პროგრამის მიზანშეწონილობაზე და განმარტა, რომ ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯის მიერ წარმოდგენილი „ქალის ტანსაცმლის კერვა, შეკეთება, გადაკეთება“ მომზადების პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებაში არ იყო წარმოდგენილი შრომის ბაზრის კვლევა. დოკუმენტის მიხედვით, „თერთმეტწლიანი საქმიანობის მანძილზე, საქართველოს საპატრიარქოს და მისი საქველმოქმედო ფონდის – „ლაზარეს“ ხელშეწყობით, კოლეჯის ბაზაზე წარმატებით განხორციელდა არაერთი მოკლევადიანი სასერტიფიკატო კურსი, მათ შორის ხელსაქმისა და სახელოვნებო მიმართულებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულება ფლობს, არამარტო მრავალწლიან გამოცდილებას მოკლევადიანი პროგრამების სწავლებისა, არამედ, „ქალის ტანსაცმლის კერვა, შეკეთება, გადაკეთების“ – მომზადების პროგრამის განხორციელებისათვის

საჭირო მრავალფეროვან და მნიშვნელოვან მატერიალურ რესურსს, რომელიც მას საკუთრებაში გადაეცა საქველმოქმედო ფონდ „ლაზარესგან;“ ასევე ჰყავს გამოცდილი და კვალიფიციური კადრები, ვინც შეძლებს მაღალ დონეზე განახორციელოს აღნიშნული პროგრამა. მაღალია საზოგადოების ინტერესიც. კოლეჯის თანამშრომლებთან უშუალო კომუნიკაციის, ასევე კოლეჯში განხორციელებული სატელეფონო ზარების მეშვეობით, ხშირია მოსახლეობის მხრიდან დაინტერესების ფაქტები” ახორციელებს თუ არა კოლეჯი კერვის შემსწავლელ კურსებს. გასაუბრებისას კოლეჯის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს გარემოებას, რომ სამკერვალო წარმოება სერიოზულ შესაძლებლობას წარმოადგენს დასაქმებისა და თვითდასაქმების კუთხით. განსაკუთრებით მზარდია საზოგადოების ინტერესი და თვითდასაქმების მაჩვენებელი პანდემიის პირობებში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კოლეჯს კვლევა არ ჩაუტარებია, რამდენად უკავშირდება პროგრამა შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს.

1.2 ქვესტანდარტში დაფიქსირებულ ხარვეზთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამის სახელწოდება „ქალის ტანსაცმლის კერვა, შეკეთება გადაკეთება“ არ შეესაბამება პროგრამის შინაარსს. ტანსაცმლის კერვა შედგება სამი ძირითადი ეტაპისაგან: 1. მოდელირება (კაბის, შარვლის, კოფტის და სხვა. მოდელის ესკიზი სადაც მოცემულია სილუეტი და ფორმა, რის მიხედვითაც უნდა მომზადდეს თარგი, შერჩეული უნდა იქნეს ტანსაცმლის დასამზადებლად ქსოვილები, ფურნიტურა და საჭირო მანქანა დანადგარები); 2. კონსტრუირება (თარგის აგება, ტექნიკური მოდელირება ესკიზის მიხედვით); 3. ტექნოლოგიური დამუშავება (ქსოვილზე თარგის დაფენა, გამოჭრა და ტექნოლოგიური დამუშავება). პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე აქცენტი გაკეთებულია ტანსაცმლის მხოლოდ ტექნოლოგიურ დამუშავებაზე. პროგრამაში არ არის გათვალისწინებული თუ საიდან იღებენ მსმენელები თარგს, ასევე, არ ჩანს ქსოვილზე თარგის დაფენასთან და გამოჭრასთან დაკავშირებული საკითხები. პროგრამის დასახელებას სრულად არ პასუხობს პროგრამის შინაარსი.

რაც შეეხება 1.3 ქვესტანდარტს, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, მაგრამ არ არის შესაბამისობაში პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. კერძოდ, პროგრამის შედეგებში არ არის გათვალისწინებული ტანსაცმლის კერვის ძირითადი ეტაპები, როგორცაა ტანსაცმლის მოდელირება და კონსტრუირება. ასევე, პროგრამაში არ არის დაზუსტებული თარგთან დაკავშირებული საკითხები.

2.2 ქვესტანდარტის ხარვეზთან დაკავშირებით ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ დისტანციური ჩართვისას შემოწმებულ იქნა დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი, რის საფუძველზეც ვერ დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსის უზრუნველყოფა, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. კოლეჯს სურს 2 ჯგუფის მიღება, თითოეულ ჯგუფში 10 მსმენელის რაოდენობით, ჯამში 20 მსმენელი პროგრამაზე. პროფესიული მომზადების პროგრამის „ქალის ტანსაცმლის კერვა, შეკეთება, გადაკეთება“ განხორციელებისათვის საჭირო რესურსების ჩამონათვალში მითითებული ინვენტარის, აღჭურვილობის დასახელება არ შეესაბამება ვიზიტის დროს წარმოდგენილ მატერიალურ აღჭურვილობას. კერძოდ, ერთნემსიანი მაქური გვირისტის უნივერსალური საკერავი მანქანების ნაცვლად, ადგილზე წარმოდგენილ იქნა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ელექტრო მექანიკური საკერავი მანქანები. როგორც წესი, საყოფაცხოვრებო ტიპის მანქანას ერთდროულად ბევრი ფუნქცია აქვს, თუმცა სპეციფიკაციებიდან გამომდინარე მას არ შეუძლია ხანგრძლივი დროით მუშაობა, ყველა სახის ქსოვილზე მუშაობა და სრულყოფილად ნაწარმის ტექნოლოგიური დამუშავება. ერთნემსიანი მაქური გვირისტის მანქანა კი ორიენტირებულია ერთ-ერთ კონკრეტულ ფუნქციაზე (სწორხაზოვანი გვირისტი), თუმცა ამ ფუნქციას იგი ასრულებს მეტად ხარისხიანად და ხანგრძლივი დროის განმავლობაში. პროგრამის ხანგრძლივობის მანძილზე მსმენელი ძირითად სასწავლო დროს ატარებს საკერავ მანქანასთან

პრაქტიკულ მუშაობაში, ამდენად წარმოდგენილი საყოფაცხოვრებო ტიპის საკერავი მანქანების გათვალისწინებით, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა, მითუფრო ხანგრძლივ, სამ წლიან პერიოდში არსებული მატერიალური რესურსით შეუძლებელია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს და დაინტერესებულ მხარეს, რომ ვინაიდან წარმოდგენილ პროგრამაში დაფიქსირებულია ხარვეზები ორ ქვესტანდარტთან მიმართებაში, საბჭოს არა აქვს უფლება დაწესებულებას მისცეს ერთთვიანი გამოსასწორებელი ვადა, კერძოდ - საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-11 მუხლის თანახმად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული პირი/საგანმანათლებლო დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს ერთ-ერთ სტანდარტს, აქედან გამომდინარე საბჭო ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას ერთთვიანი ვადის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების დირექტორმა მიმართა საბჭოს წევრებს, რომ სამწუხარო იქნებოდა ამ პროგრამაზე დაწესებულებას მიეღო უარი, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება გაეცნო დასკვას, მათ იმის მოლოდინი ჰქონდათ, რომ საბჭოზე შესაძლებლობა ექნებოდათ წარმოედგინათ თავიანთი არგუმენტები, რაც შესაძლებლობას მისცემდა მათ საბჭოს მიეღო გადაწყვეტილება ერთთვიანი ვადის განსაზღვრის შესახებ, რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების დირექტორს, რომ შეეძლო ეს არგუმენტები ჩამოეყალიბებინა.

რეზო შარაბიძემ საკერავ მანქანებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ვინაიდან დაწესებულება ადრე ახორციელებდა გრძელვადიან პროგრამას, პროფესიული სტუდენტები მუშაობდნენ ამ საკერავ მანქანებზე და შესაძლებელი იყო ამ საკერავი მანქანებით შედეგების მიღწევა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს, გამოეთქვა თავისი მოსაზრება და დაეფიქსირებინა პოზიცია საკერავ მანქანებთან დაკავშირებით.

ექსპერტმა მანანა კობალაძემ აღნიშნა, რომ საყოფაცხოვრებო მანქანებს თავისი სპეციფიკაციებიდან გამომდინარე ბევრი ფუნქცია აქვს, თუმცა მას არ შეუძლია ხანგრძლივი დროით მუშაობა, რასაც არ დაეთანხმა დაწესებულების დირექტორი, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ იმ გამოცდილებიდან გამომდინარე, რაც მას გააჩნდა შეუძლებელი იყო ასეთი ტიპის მანქანებით სწავლის შედეგების მიღწევა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების დირექტორს, რომ საბჭო გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობა ექსპერტის დასკვნას, მის გამოცდილებას და კომპეტენციას და თუ დაწესებულებას ჰქონდა თავისი არგუმენტები ამასთან დაკავშირებით, დაესაბუთებინა საბჭოსთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მხოლოდ სწავლების გამოცდილებიდან გამომდინარე ჰქონდა ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება.

საბჭოს წევრმა გიორგი გამყრელიძემ განმარტა, რომ სხვა ქვესტანდარტებთან მიმართებაშიც იყო დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზები, რაც თავისთავად იმაზე მიუთითებდა, რომ ვერ მოხდებოდა ხარვეზის გამოსწორების ვადის განსაზღვრა დაწესებულებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დამსწრე საზოგადოებას, რომ ექსპერტის დასკვნა არის ამოსავალი გადაწყვეტილების მიღებისთვის, მან დაამატა, რომ არ არის სასურველი, როდესაც ასეთი დისკუსია იმართება საბჭოზე, ვინაიდან დასკვნა არის ის დოკუმენტი, რომელსაც ეყრდნობა საბჭო, აქედან გამომდინარე შეუძლებელია ამ ხარვეზების ფონზე მიიღოს საბჭომ დადებითი გადაწყვეტილება.

დაწესებულების დირექტორმა დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომ თუ ხელმეორედ შემოიტანდნენ ამ პროგრამას, დაწესებულებას მაინც არ ექნებოდა საშუალება შეემდინა საკერავი მანქანები და კიდევ ერთხელ გამოთქვა წუხილი, ვინაიდან ეს პროგრამა უნდა განხორციელებულიყო სკოლის მოსწავლეებისთვის, დიასახლისებისთვის უფასოდ. მან დასძინა, რომ სპეციალისტებთან ჰქონდა კომუნიკაცია საკერავ მანქანებთან დაკავშირებით და სპეციალისტებმა დაუდასტურეს, რომ შესაძლებელი იყო ამ საკერავი მანქანებით სწავლება მანქანების სიმძლავრიდან გამომდინარე, და დაამატა, რომ თუ იქნებოდა მოთხოვნა ძვირადღირებული საკერავი მანქანების შეძენის, დაწესებულება ვერ განხორციელებდა ამ პროგრამას, ვინაიდან ვერ შეიძენდა ასეთ საკერავ მანქანებს. მან ბოდიში მოუხადა საბჭოს ემოციური გამოსვლისთვის და კიდევ ერთხელ მიმართა საბჭოს თხოვნით, ერთთვიანი გამოსასწორებელი ვადის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

მარიამ ქუჩულორიამ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

საბჭოს წევრმა თორნიკე თოხაძემ აღნიშნა, რომ ჰქონდა შეხება სხვა სფეროში ასეთ საკითხთან, სადაც არასაწარმოო დანიშნულების ამოცანები სრულდებოდა ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო მოწყობილობებით. ის რომ შედეგის მიღწევა შეუძლებელია, არ არის სწორი, თუმცა, ეს ფორმალური ნაწილია და ამ შემთხვევაში საბჭო ექსპერტებად ვერ გამოდგებოდა, ის დაეთანხმა ექსპერტს იმ კონტექსტში, რა კონტექსტშიც იყო წარმოდგენილი, თუმცა არაფორმალურ გარემოში რომ შესაძლებელია შედეგის მიღწევა ამ შემთხვევაში არ გამოდგებოდა. ასევე მან დაამატა, რომ ექსპერტს ეთანხმებოდა და სასურველი იქნებოდა ექსპერტისგან მიეღოთ ინფორმაცია.

მსჯელობაში ჩაერთო ნიკოლოზ მესხიშვილი. მან აღნიშნა, რომ სამწუხაროა ის ფაქტი, თუ რა რეალობის წინაშე აღმოჩნდა საბჭო, იგი დაინტერესდა, ასეთი ტიპის საკერავი მანქანები ხომ არ არის ჭარბად ბაზარზე, ან ოჯახებში, ხომ არ არის შესაძლებელი, რომ საკუთარი ბიზნესის, მცირე მეწარმეობის ფარგლებში ჰქონდეთ საშუალება, რომ სახლის პირობებში განხორციელონ თავისი საქმიანობა. თუ არის შესაძლებელი სახლის პირობებში ასეთი მანქანების გამოყენებით ასეთი ტიპის სამუშაოების შესრულება, არის თუ არა შესაძლებელი ერთმა ადამიანმა მიიღოს გარკვეული შეკვეთა და ეტაპობრივად ბიზნესი განავითაროს. ასევე დაინტერესდა, თუ ცვლილებები შევიდოდა პროგრამაში, ხომ არ იქნებოდა შესაძლებელი არსებული რესურსით შეკვეთის მიღება და სამუშაოს შესრულება. და დასძინა, რომ დაწესებულების სუსტად წარმოდგენილი კვლევის შედეგად გაჩნდა ამდენი შეკითხვები, კვლევა რომ ყოფილიყო წარმოდგენილი კარგად, ასეთი შეკითხვები არ იქნებოდა.

მარიამ ქუჩულორიამ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია პროგრამა უკავშირდებოდეს დასაქმების, მეწარმეობის, ან პიროვნული განვითარების მოთხოვნებს, მაგრამ აუცილებლად შრომის ბაზრის მოთხოვნებს უნდა უკავშირდებოდეს, იქნებ დაწესებულებისთვის მიეცათ რჩევა განმეორებით შემოიტანოს ეს პროგრამა, რა უნდა შეიცვალოს, რადგანაც დაწესებულებას აქვს სურვილი ამ პროგრამის განხორციელების, ამ კითხვით მიმართა მან ექსპერტს.

სანამ ექსპერტი უპასუხებდა საბჭოს თავმჯდომარეს, თორნიკე ჯობავამ მიმართა ექსპერტს განემარტა, თუ ამ მანქანებს არ გააჩნიათ წარმადობა 3 საათი გადაბმულად იმუშაონ და ეს მანქანები არ გამოიყენება ქარხნებში, იქიდან გამომდინარე, რომ იქ სხვა ტიპის მანქანებია, თუ საყოფაცხოვრებო საკერავი მანქანებით განხორციელდება სწავლება, საკითხავია რამდენად სჭირდებათ ფაბრიკებს ასეთი მუშახელი, თუ ერთი მეორეს ხელს არ უშლის, ითხოვა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა როგორც ექსპერტისგან, ასევე დაწესებულებისგან, შესაძლებელი იყო თუ არა მსმენელს ასეთი ტიპის საკერავი მანქანაზე ესწავლა და შემდგომ დასაქმებულიყო ფაბრიკაში.

ექსპერტმა განმარტა, რომ საყოფაცხოვრებო ტიპის მანქანები, რაც ნიშნავს, რომ ეს მანქანები არ არის გათვლილი მთელი დღე მუშაობისთვის, სახლის პირობებში რა თქმა შეკერავს რაღაცას, რაც შეეხება შრომით ბაზარს, არც ერთ საწარმოში არ გამოიყენება, არც მცირე სამკერვალო სალონებშიც ასეთი ტიპის მანქანები, გამოიყენება მხოლოდ დამატებითი დეტალების შესასრულებლად, მაგ. გადანაჭერის დამუშავებისთვის, ავერლოკისთვის, თუმცა ძირითადი ტანსაცმლის დამუშავების 95% და მეტი მოდის ერთნემსიან უნივერსალურ საკერავ მანქანებზე, რომელზეც სრულდება ეს ოპერაციები, აქედან გამომდინარე, მსმენელი ვერ დასაქმდება, ვინაიდან მომხმარებელს ვერ დააკმაყოფილებენ, ასეთი ტიპის მანქანები მხოლოდ დამატებითი ოპერაციების შესრულებისთვის გამოიყენება.

კოლეჯის დირექტორმა მიმართა საბჭოს, რომ მოესმინათ პროგრამის განმახორციელებელი პირის არგუმენტებისთვის.

საბჭოს წევრმა გიორგი გამყრელიძემ დამსწრე საზოგადოებას, საბჭოს და დაინტერესებულ მხარეს მიმართა, რომ საკმაოდ დიდხანს მიმდინარეობდა მსჯელობა ამ საკითხთან დაკავშირებით, ვინაიდან კიდევ რამდენიმე საკითხი იყო განსახილველი, ითხოვა რომ განმახორციელებელ პირს მოკლედ ჩამოეყალიბებინა თავისი პოზიცია.

პროგრამის განმახორციელებელმა პირმა აღნიშნა საკერავ მანქანებთან დაკავშირებით, რომ ფაბრიკებში რა თქმა უნდა უფრო ძლიერი მანქანებია, ვიდრე საყოფაცხოვრებო მანქანები, თუმცა საწარმოში ისეთი პირებიც მიდიან, რომლებმაც საერთოდ არ იციან კერვა, ჩვენ კი ვასწავლით როგორ შეასრულონ, იმუშაონ, და დაამატა, რომ სერიული წარმოება კი არ იქნება, თან მთელი დღის განმავლობაში, მათ მთელი დღე მანქანასთან ჯდომა არ უწევთ, ვინაიდან დეტალების შეერთებაზეც მუშაობენ, თუმცა ექსპერტი არ დაეთანხმა განმახორციელებელ პირს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯისთვის - „ქალის ტანსაცმლის კერვა, შეკეთება, გადაკეთება" /01133/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 9

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტისა შესაბამისად, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის №358 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად,

ა(ა)იპ ახალ პროფესიულ კოლეჯს (ს/კ: 404379070) უარი ეთქვას განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - „ქალის ტანსაცმლის კერვა, შეკეთება, გადაკეთება“ /01133

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 6 აგვისტო.

საბჭოს სხდომა დატოვა თორნიკე ჯობავამ 14:15 საათზე.

3. შპს „ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსალტინგისთვის“ პროფესიული გადამზადების პროგრამაზე „მარკეტინგისა და გაყიდვების სპეციალისტის - მარკეტერი“ /00847/ მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს სხდომას საპატიო მიზეზით ვერ დაესწრო შპს „ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსალტინგის“ დირექტორი გიორგი კუჭუხიძე, სხდომას ესწრებოდა პარტნიორი ორგანიზაციის დირექტორი ია ერამე.

პრეზენტაცია სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა მაკო ჯაოშვილმა. მან აღნიშნა, რომ შპს „ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსალტინგის“ შემოიტანა განაცხადი „მარკეტინგის და გაყიდვების სპეციალისტის - მარკეტერი“ პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ. დაწესებულებას მოპოვებული ჰქონდა უფლება 25 მსმენელისთვის. დაწესებულება ითხოვდა მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გაზრდას 75 მსმენელით. პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18/22.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზები არ დაფიქსირებულა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

ექსპერტმა პრეზენტაციაში წარმოადგინა მეორე სტანდარტის ქვესტანდარტების შეფასება:

2.1 ქვესტანდარტი დაწესებულებამ სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა წერილი „მარკეტინგის და გაყიდვის სპეციალისტის - მარკეტერის“ პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ. წარმოდგენილ წერილში მითითებულია, რომ მარკეტინგისა და გაყიდვების სექტორის განვითარებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია დარგის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა. დაწესებულებას 2020 წლის 30 დეკემბრის №1242356 გადაწყვეტილებით მიენიჭა აღნიშნული პროგრამის - „მარკეტინგის და გაყიდვების სპეციალისტი - მარკეტერის“ განხორციელების უფლება. პირველი რეგისტრაციის გამოცხადებისთანავე დაფიქსირდა მზარდი მოთხოვნა აღნიშნულ პროგრამაზე. დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელიც შეძლებს ერთდროულად რამდენიმე ჯგუფის სწავლებას, ამასთანავე, სავსებით შესაძლებელია, რომ პროგრამა განხორციელდეს ონლაინ სწავლების მიდგომებით. პროგრამის განხორციელებაში აქტიურად არის ჩართული პარტნიორი ორგანიზაცია შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA. დაწესებულებამ პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელთა გაზრდილი რაოდენობისთვის დაამატა პროგრამის განმახორციელებელი პირი. წერილთან ერთად წარმოადგინა პროგრამის განმახორციელებელ პირთა შესახებ ინფორმაცია, რეზიუმე, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხელშეკრულება, რომლითაც დასტურდება განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება. აღნიშნული ასევე დადასტურდა გასაუბრების ფარგლებში მიღებული ინფორმაციით.

2.2 ქვესტანდარტი „მარკეტინგისა და გაყიდვის სპეციალისტის - მარკეტერის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული პარტნიორ ორგანიზაციასთან, რომელიც აქტიურადაა ჩართული როგორც აღნიშნული პროგრამის განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში, ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფისა და სწავლების ხარისხის ასამაღლებლად პერსონალის მხარდამჭერ აქტივობებში. პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, პარტნიორმა ორგანიზაციამ დაამატა სასწავლო აუდიტორიები, რომლებიც სრულად არის აღჭურვილი სათანადო მატერიალური რესურსით 25-30 მსმენელზე გათვლით, ხოლო დაწესებულებამ დაამატა განმახორციელებელი პირი. მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროფესიული გადამზადების პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით.

2.3 ქვესტანდარტი პროგრამის განმახორციელებელი პირები იყენებენ წარმოდგენილ პროგრამაში ასახულ სასწავლო რესურსებს, რომლებიც სრულად არის მორგებული პროგრამის მსმენელთა საჭიროებებზე და თავისუფლად ხელმისაწვდომია ყველა მსმენელისთვის

2.4 ქვესტანდარტი პროგრამის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის სწავლება ხორციელდება პარტნიორი ორგანიზაციის კუთვნილ შენობაში, მისამართზე: რუსთავის გზატკეცილი №18/22. ორგანიზაციამ წარმოადგინა როგორც სახანძრო უსაფრთხოების დაცვის დამადასტურებელი საბუთი, რომელსაც თან ერთვის ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა. ასევე, პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების საპრევენციო პროცედურების დოკუმენტი.

ექსპერტმა დაამატა, რომ პროგრამა მნიშვნელოვანი და მოთხოვადია, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, რომ იურიდიულმა პირმა გამოთქვა სურვილი მსმენელების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ. ექსპერტმა მადლობა გადაუხადა დაწესებულებას და აღნიშნა, რომ დაწესებულება არის მოტივირებული ამ პროგრამის განსახორციელებლად და წარმატებები უსურვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ წარმატებები უსურვა დაწესებულებას ასეთი მოთხოვნადი პროგრამის განხორციელებაში და კენჭისყრაზე დააყენა შპს „ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსალტინგისთვის“ პროფესიული გადამზადების პროგრამაზე „მარკეტინგის და გაყიდვების სპეციალისტის - მარკეტერი“ /00847/ მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

შპს „ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსალტინგს“ (ს/კ: 404569926) დანართით განსაზღვრულ პროფესიული გადამზადების პროგრამაზე - მარკეტინგისა და გაყიდვების სპეციალისტი - მარკეტერი /00847 გაეზარდოს მსმენელთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 100-ით (დანართი 2).

4. შპს სიოსთვის - „შინმოვლის სპეციალისტი“ /01155/პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

სანამ ექსპერტი წარადგენდა საბჭოს წინაშე პრეზენტაციას, ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ საბჭოს მიმართა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამა იყო ანალოგიური იმ პროგრამისა, რომელიც განხილულ იქნა 4 აგვისტოს საბჭოს სხდომაზე და დაამატა, რომ სწორედ იმ მინიმალურ სტანდარტზე დაყრდნობით არის შემუშავებული, როგორც წინა საბჭოზე განხილული პროგრამა. ეს არის რეალობა, მინიმალური მოთხოვნები დამტკიცებულია და იმ დამტკიცებულს კოლეჯი იზიარებს ერთი ერთში პირდაპირი მნიშვნელობით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს აპარატის წარმომადგენელს განემარტა რა განსხვავება იყო წარმოდგენილ პროგრამას და წინა საბჭოზე განხილულ პროგრამას შორის, რაზეც აპარატის წევრმა უპასუხა, რომ პროგრამა ზუსტად ისე იყო აგებული, როგორც ეს მინიმალურ სტანდარტშია გაწერილი, თუმცა რეკომენდაციების ნაწილში ექსპერტის შეფასება რამდენადმე განსახვავებული იყო.

მარიამ ქუჩულორიამ მიმართა ექსპერტს, მოკლედ ჩამოეყალიბებინა ის რეკომენდაციები და ხარვეზი, რომელიც დაფიქსირდა ვიზიტის დროს.

პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა ექსპერტმა თათია კაციტაძემ, მან აღნიშნა, რომ 2021 წლის 26 ივლისს დისტანციურად განხორციელდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან. შეხვედრას დაესწრნენ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და შპს სიოს წარმომადგენლები. ექსპერტმა და ცენტრის წარმომადგენელმა პროგრამის შესახებ ინფორმაცია და მისი განხორციელებისთვის სხვა საჭირო დოკუმენტების შესახებ დამატებითი ცნობები კითხვა-პასუხის რეჟიმში დააზუსტეს.

პროგრამის დონე არის მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობაა - 8 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა 20 - მსმენელი, პროგრამის განხორციელების ადგილია ქ. ქუთაისი, გალაქტიონ ტაბიძის №72/დ.

ონლაინ ვიზიტის დროს გამოვლინდა ერთი ხარვეზი:

1.1 ქვესტანდარტი - შპს სიოს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი „შრომის ბაზრის მოთხოვნები და კვლევის დასაბუთება“ სრულყოფილად არ ასახავს რეგიონში შინმოვლის სპეციალისტზე მოთხოვნის დასაბუთებას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ შპს სიოს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი „ შრომის ბაზრის მოთხოვნები და კვლევის დასაბუთება“ არ არის სრულყოფილი, კერძოდ ნათლად არ ჩანს მოთხოვნა შინმოვლის სპეციალისტზე, საუბარია მხოლოდ შრომის ბაზარზე პროფესიონალი კადრის ნაკლებობაზე ზოგადად, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს დაასაბუთეს წარმოდგენილი პროგრამის აქტუალობა და კავშირი შრომის ბაზრის

მოთხოვნებთან, რაც ეყრდნობა მხოლოდ სატელეფონო და პირად საუბრებს, როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დევენილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, ისე კლინიკებთან, ასევე ქვეყანაში არსებული ეპიდემიური მდგომარეობით, რამაც გაზარდა მოთხოვნა ზოგადად სამედიცინო პერსონალზე და ამ კონკრეტულ შემთხვევაში პაციენტის მოვლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

რეკომენდაციები უმეტესწილად დაფიქსირებულია პირველ და მეორე სტანდარტთან მიმართებაში, კერძოდ:

1.4 ქვესტანდარტი - დაწესებულებას „შინმოვლის სპეციალისტის“ პროფესიული მომზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს მინიმალური ასაკი 18 წელი და საბაზო განათლება. ვინაიდან პროფესიული მომზადების პროგრამის კურსდამთავრებულს შეიძლება შეხება ექნეს რთული ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პაციენტებთან, რეკომენდირებულია დაწესებულებამ წინაპირობაში ასევე გაითვალისწინოს და აპლიკანტთა შერჩევისას გამოიყენოს შერჩევის მეთოდი პროფესიაში მოსინჯვა.

1.6 ქვესტანდარტი - პროფესიული მომზადების პროგრამის თემატიკაში არ არის ყურადღება გამახვილებული ისეთ საბაზისო საკითხებზე, როგორცაა ადამიანის ანატომიის და ფიზიოლოგიის საბაზისო საკითხები, რეკომენდებულია ამ საკითხებს პროგრამაში დაეთმოს ყურადღება, ვინაიდან პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლის შედეგების სრულყოფილად მისაღწევად პირს უნდა ჰქონდეს ცოდნა ამ საკითხებში.

1.7 ქვესტანდარტი - მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ხანგრძლივობა შეესაბამება "შინმოვლის" პროფესიული მომზადების პროგრამისთვის განსაზღვრულ მინიმალურ სარეკომენდაციო მოთხოვნებს, რეკომენდირებულია პროგრამა იყოს უფრო ხანგრძლივი.

1.9 ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია, კოლეჯმა უზრუნველყოს პარალელურად, პრაქტიკის განმახორციელებელ სხვა ორგანიზაციასთან ხელშეკრულების გაფორმება. ასევე ხელშეკრულებაში გაიწეროს როგორც პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე მიეთითოს პრაქტიკის ობიექტის გამტარუნარიანობა (რა თქმა უნდა პრაქტიკის ობიექტთან შეთანხმებით), რაც მომზადების/გადამზადების პროცესს უფრო სტაბილურს გახდის.

2.1 ქვესტანდარტი - რეკომენდებულია „შინმოვლის სპეციალისტის“ პროფესიული მომზადების პროგრამა განახორციელონ პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა, რომლებსაც აქვთ ექიმის ან ექთნის კვალიფიკაცია.

2.2 ქვესტანდარტი - რეკომენდებულია დოკუმენტში - „კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია გასწორდეს ამ კონკრეტული პროგრამისთვის სასწავლო გარემოს ტიპები და რაოდენობა.

ექსპერტმა თავის პრეზენტაციაში ასევე წარმოადგინა ფოტო მასალა იმ სასწავლო გარემოების შესახებ, სადაც აპირებდა დაწესებულება პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელებას.

ასევე ექსპერტი შეეხო თითოეულ ქვესტანდარტს, რომელთა მიმართებაში დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია.

1.4 ქვესტანდარტთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხში დაწესებულება ემყარება „შინმოვლის სპეციალისტის“ პროგრამისთვის დადგენილ მინიმალურ სტანდარტს, ყოველივე ამის გათვალისწინებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში.

1.6 ქვესტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები - "შინმოვლის" პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების

პროგრამებისათვის განსაზღვრული მინიმალური სარეკომენდაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2021 წლის 25 იანვრის №27415 ბრძანებით დამტკიცებული "შინმოვლის" პროფესიული მომზადების პროგრამისათვის განსაზღვრული მინიმალური სარეკომენდაციო მოთხოვნებით დადგენილი სწავლის შედეგების იდენტურია. ამდენად, შედეგები მოიცავს, როგორც თეორიულ ცოდნას, ასევე, პრაქტიკულ უნარებსა და კომპეტენციებს, თუმცა სასურველია ყურადღება გამახვილდეს ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის საბაზისო საკითხებზე.

1.9 ქვესტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ "შინმოვლის" პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებისათვის განსაზღვრული მინიმალური სარეკომენდაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2021 წლის 25 იანვრის №27415 ბრძანებით დამტკიცებული "შინმოვლის" პროფესიული მომზადების პროგრამისათვის განსაზღვრული მინიმალური სარეკომენდაციო მოთხოვნებით არ არის დადგენილი პრაქტიკის არსებობა რეალურ სამუშაო გარემოში, ასევე პრაქტიკის განმახორციელებლის მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მსმენელებმა პრაქტიკული კომპონენტი გაიარონ არამხოლოდ კოლეჯის C გარემოში, არამედ რეალურ სამუშაო გარემოში, რეალურ პაციენტებთან, რათა სრულყოფილად მიაღწიონ სწავლის შედეგებს და ადაპტირდნენ რეალურ შესასრულებელ სამუშაოსთან.

რაც შეეხება 2.1 ქვესტანდარტს, ექსპერტის აზრით ინგლისური ენის სპეციალისტის და ექიმი ლაბორანტის კვალიფიკაციის მქონე პირები, მიუხედავად გავლილი ტრენინგისა, ვერ ჩაითვლება შინმოვლის პროგრამის განხორციელებისთვის შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრად. რეკომენდებულია „შინმოვლის სპეციალისტის“ პროგრამა განახორციელონ იმ პროფესიულმა მასწავლებლებმა, რომლებსაც აქვთ ექიმის ან ექთნის კვალიფიკაცია.

პრეზენტაციის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს. დაწესებულების დირექტორი არ დაეთანხმა ექსპერტის შეფასებას, პოლემიკაში ბერლინიდან ჩაერთო დაწესებულების წარმომადგენელი სალომე სიორდია, რომელმაც აღნიშნა, რომ იმყოფებოდა საქმიანი ვიზიტით სწორედ შინმოვლის საკითხებზე პროფესიულ სტუდენტებთან ერთად, მან დასძინა, რომ წარმოდგენილი პროგრამა შემუშავდა სწორედ მისი ინიციატივით და მიმართა დირექტორს თხოვნით, მიეცა საშუალება დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია. იგი შეეხო ბაზრის კვლევასთან დაკავშირებულ ხარვეზს და აღნიშნა, რომ ეპიდემიის ვითარებაში, როდესაც ქვეყანაში გაზრდილია კოვიდ -19 ინფიცირება და მოსახლეობის დიდ ნაწილს უწევს სახლში მკურნალობა, თავისთავად განაპირობებს იმას, რომ ოჯახში ყველამ უნდა იცოდეს, თუ როგორ მოუაროს პაციენტს შინ, სწორედ ამ სტატისტიკიდან გამომდინარე, მიიღეს გადაწყვეტილება ამ პროგრამის განხორციელების, თუმცა არსებული სიტუაციიდან გამომდინარე ჩათვალეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი საკმარისი იქნებოდა, ასევე მან დაამატა, რომ ეთანხმება ამ ნაწილში ექსპერტის შეფასებას და შეეცდება წარმოადგინოს გამოსწორებული დოკუმენტი.

იგი შეეხო ასევე რეკომენდაციას ასაკთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ წინაპირობები გათვალისწინებული იქნა „შინმოვლის“ მინიმალურ სტანდარტზე დაყრდნობით, თუმცა დაეთანხმა რეკომენდაციას.

დაწესებულების წარმომადგენელი ასევე შეეხო იმ რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა ადამიანის ანატომიის და ფიზიოლოგიის საბაზისო საკითხებს, მან განმარტა, რომ დაწესებულებას აქვს გამოცდილება ამ მიმართულებით პროგრამის განხორციელების და დაამატა, რომ მიუხედავად იმისა, რომ თემატიკიდან არ ჩანს, რომ მსმენელები ისწავლიან ადამიანის ანატომიის და ფიზიოლოგიის საბაზისო საკითხებს, ეს ისედაც გათვალისწინებულია, ვინაიდან აუცილებელია ამ საკითხების ცოდნა, ამ ნაწილშიც დაეთანხმა ექსპერტის შეფასებას.

მარკა ზაქარეიშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ ზუსტად ასეთი სიტუაცია დაფიქსირდა წინა საბჭოს სხდომაზე და აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა კოლეჯის პოზიციას მინიმალურ სტანდარტთან დაკავშირებით, თუმცა ეთანხმება იმ აზრს, რომ სარეკომენდაციო ჩარჩო არ არის სრულყოფილი და ვერ მომზადდება ისეთი სპეციალისტი, რომელიც საჭიროა ამ სფეროსთვის, ცალსახად იზიარებს იმას, რომ გადასამუშავებელია ჩარჩო სიღრმისეულად და ყველა რეკომენდაცია იქნას ასახული პროგრამის სარეკომენდაციო ჩარჩოში.

დაწესებულების დირექტორმა მიმართა საბჭოს, რომ ვინაიდან ანატომია-ფიზიოლოგია ისწავლება სკოლაში, ასევე ეს პირი არ არის ექთანი, მას ნემსის გაკეთების უფლებაც არა აქვს, არის მხოლოდ შინმოვლის სპეციალისტი, საკმარისია ჰქონდეს სკოლაში მიღებული საბაზისო განათლება.

ნანი დალაქიშვილმა დაწესებულების პოზიცია დააკომენტარა, მან აღნიშნა, რომ ცენტრის მიერ შემუშავებულია მინიმალური ჩარჩო, თვით ჩარჩო ამბობს რომ მინიმალურია, რომლის საფუძველზეც დაწესებულებამ უნდა ააგოს კარგად გააზრებული პროგრამა და გაითვალისწინოს ყველა ის კომპონენტი, რომ მომზადდეს სრულყოფილი სპეციალისტი, რომელიც ასე საჭიროა ამ სფეროსთვის და ასევე განმარტა, რომ აპელირება იმაზე, რომ ჩარჩომ შეზღუდა დაწესებულება არასწორი პოზიცია იქნება დაწესებულების მხრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას, თუ არის მათთვის ნათელი ერთთვის ვადაში რა ექნებათ გასასწორებელი, რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ასეთ შემთხვევაში ბენეფიციარებს ეკარგებათ ერთი თვე, რომლებიც ელოდებოდნენ ამ პროგრამას და ჰყავთ ოჯახებში ფიზიკურად დაზიანებული პაციენტები. დაწესებულების დირექტორმა დააფიქსირა, რომ არ ეთანხმებოდა რეკომენდაციებს.

საბჭოს თავმჯდომარემ თხოვა ექსპერტს კიდევ ერთხელ განემარტა საბჭოსთვის თავისი პოზიცია, რომელმაც განმარტა, რომ აქვთ ამ პროგრამის განხორციელების გამოცდილება და ასწავლიან ანატომია-ფიზიოლოგიას, ასევე დაამატა, რომ ვინაიდან რამდენიმე ექსპერტის მიერ იქნა დაფიქსირებული მოსაზრება მინიმალური სტანდარტის გადამუშავებასთან დაკავშირებით და ამ პოზიციას იზიარებს ასევე ცენტრი, უფრო მაღალ სტანდარტზე რომ გავიდნენ, ანუ სტანდარტი რომ განვითარდეს და უკეთესი გახდეს, ეს ეხება არა მარტო ამ დაწესებულებას, არამედ სხვა დაწესებულებებსაც.

მარკა ზაქარეიშვილმა აღნიშნა, რომ წინა საბჭოზე და ამ საბჭოზეც ამ საკითხის განხილვიდან გამომდინარე, ერთი და იგივე ქეისია, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაწესებულებას მიეცეს საშუალება ერთი თვის ვადაში გამოასწოროს ხარვეზი და გაითვალისწინოს ის რეკომენდაციები, რაც ექსპერტის მიერ იქნა დასკვნაში ასახული, თუმცა დაწესებულების პრეროგატივაა გაითვალისწინებს ამ რეკომენდაციებს თუ არ გაითვალისწინებს, რა თქმა უნდა საბჭო მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. მან ასევე აღნიშნა, რომ ის ეთანხმება ორივე ექსპერტის შეფასებას და ფიქრობს, რომ არ არის საკმარისი სკოლაში მიღებული განათლება, ასევე შერჩევის კრიტერიუმები რამდენად არის მიმართული ამ ცოდნის ამოღებაზე და იქიდან გამომდინარე, რომ შინმოვლის სპეციალისტს მოუწევს შეხება პალიატიური, რთული ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პაციენტებთან, გარკვეული უნარი/ცოდნა უნდა ჰქონდეს ანატომიაში, არაერთმა ექსპერტმა დააფიქსირა მოსაზრება ამასთან დაკავშირებით და დაამატა, რომ დაწესებულებას საბჭო აძლევდა შანსს ერთი თვის განმავლობაში გამოესწორობინა ხარვეზი და წარმოედგინა პროგრამა, თუმცა მან ასევე დასძინა, რომ ეს დაწესებულების პრეროგატივაა, ამას დაეთანხმება თუ არა.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ვინაიდან საკმაოდ დიდხანს მიმდინარეობდა მსჯელობა ამ საკითხთან დაკავშირებით, საბჭოს აპარატს თხოვა ოქმში ასახულიყო კონკრეტულად თუ რა ცვლილებები უნდა შეეტანა დაწესებულებას პროგრამაში და მიმართა დაწესებულებას თუ რომელ გადაწყვეტილებას ეთანხმებოდნენ ერთთვიან ვადას გამოსასწორებლად, თუ პირდაპირ უარს, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეთანხმებოდა ერთთვიანი ვადის მიცემას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს სიოსთვის - „შინმოვლის სპეციალისტის“ /01155/ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გასასწორებლად ერთთვიანი ვადის მიცემის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

მიეცეს შპს სიოს ერთთვიანი ვადა - „შინმოვლის სპეციალისტის“ /01155/ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გასასწორებლად.

5. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის - „ლაბორატორიის სამედიცინო ტექნიკური ასისტენტი“ /01138/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ექსპერტის და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს სხდომას ესწრებოდა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ზურაბ ხონელიძე, იგი მიესალმა საბჭოს, გამოხატა თავისი პატივისცემა საბჭოს მიმართ, მადლობა გადაუხადა ყველა იმ პირს, ვინც წვლილი შეიტანა, რომ ეს პროგრამა საბჭოს სხდომაზე ყოფილიყო წარდგენილი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის, მან ასევე მადლობა გადაუხადა, ყველა იმ პარტნიორი კლინიკების წარმომადგენლებს, ვისთანაც დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება.

პრეზენტაცია წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ და დარგის მოწვეულმა ექსპერტმა ლელი შანიძემ. ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 23 ივლისის №737128 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლანა გაჩეჩილაძემ და დარგის ექსპერტმა ლელი შანიძემ შეისწავლეს პროფესიული გადამზადების პროგრამის „ლაბორატორიის სამედიცინო ტექნიკური

ასისტენტი“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი დისტანციურად და 2021 წლის 28 ივლისს განახორციელეს კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან გასაუბრება. ასევე, გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. წარმომადგენლები გასაუბრების დროს ამომწურავად პასუხობდნენ დასმულ შეკითხვებს. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

თავის პრეზენტაციაში ლანა გაჩეჩილაძემ წარმოადგინა პროგრამის პარამეტრები და შეეხო ყველა სტანდარტს. პროფესიული გადამზადების პროგრამა - „ლაბორატორიის სამედიცინო ტექნიკური ასისტენტი“, მეხუთე დონე, სწავლების ენა - ქართული, პროგრამის ხანგრძლივობა - 24 კვირა, მოთხოვნილი მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 20, განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. №26. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების საჭიროების დასაბუთება, ანალიზის დოკუმენტი, რომელიც ეყრდნობა პროფესიულ სტანდარტებს (პრაქტიკოსი ექთანი; ექთნის თანაშემწე; ფარმაცევტ-ტექნიკოსი; ფარმაცევტის თანაშემწე); პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებს (საექთნო განათლება; ფარმაცია (სააფთიაქო); დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორს (ISCO); განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორს (ISCED); საქსტატის ეკონომიკური საქმიანობის სახეებს და საერთაშორისო გამოცდილებას, კერძოდ განხილული იყო ქვეყნების: გერმანიის, ავსტრიის, ინგლისის, საფრანგეთის, ფოლანდიის, აშშ-ს არსებული პროგრამები ამ მიმართულებით.

პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული გადამზადების შემდეგ ლაბორატორიული მედიცინის კადრების ეფექტურ დასაქმებას შრომის ბაზარზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 16 ივლისის №244/ნ ბრძანების მიხედვით „სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმების უფლებისა და შესაბამისი განათლების მქონე სამედიცინო პერსონალის ნუსხის დამტკიცების შესახებ“, აღნიშნული პოზიცია „ლაბორატორიის სამედიცინო ტექნიკური ასისტენტი“ ნუსხაში არ შედის. აღნიშნულს ადასტურებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (გაგზავნილი კორესპონდენციის პასუხად) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიმდინარე წლის 2 ივლისის წერილი №666194. წერილში აღნიშნულია, რომ პროგრამა არ ექცევა ზემოაღნიშნული ბრძანების რეგულირების ფარგლებში, თუმცა, მათი აზრით, „მნიშვნელოვანი როლი შეუძლია შეასრულოს ლაბორატორიული სერვისების განვითარების ხელშეწყობაში, კოვიდ-პანდემიის პირობებში სამედიცინო დიაგნოსტიკურ სერვისებზე გაზრდილი მოთხოვნების გამო“. აღნიშნული ტიპის პროფესიული გადამზადების პროგრამების ფორმალიზებას მიესალმებიან და შესაბამისად, მის განხორციელებასთან დაკავშირებით წინააღმდეგობრივი პოზიცია არ აქვთ. აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, ექსპერტის მოსაზრებით სასურველია, რომ პროგრამა დამტკიცდეს (გახდეს აკრედიტირებული) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ და განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება, რათა სერტიფიცირებულ პირს ჰქონდეს უფლება სამედიცინო დაწესებულებაში შესაბამის პოზიციაზე დასაქმების. წარმოდგენილი პროფესიული გადამზადების პროგრამა „ლაბორატორიის სამედიცინო ტექნიკური ასისტენტი“ ეფუძნება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების / მეწარმეობის / პიროვნული განვითარების პერსპექტივებს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გადამზადების პროგრამის სახელწოდებაა „ლაბორატორიის სამედიცინო ტექნიკური ასისტენტი“, პროგრამის სწავლის შედეგებია: 1. შრომის უსაფრთხოების დაცვა სამედიცინო ლაბორატორიაში, 2. პირველადი გადაუდებელი დახმარება, 3. სამუშაო გარემოს ორგანიზება სამედიცინო ლაბორატორიაში, 4. ლაბორატორიის

მოწყობილობების ოპერირება სამედიცინო ლაბორატორიაში, 5. პრენალიზის ფაზის განხორციელება სამედიცინო ლაბორატორიაში, 6. ანალიზური ფაზის განხორციელება სამედიცინო ლაბორატორიაში, 7. პოსტანალიზური ფაზის განხორციელება სამედიცინო ლაბორატორიაში, 8. სახარჯი მასალების და რეაგენტების ხარჯთაღრიცხვა სამედიცინო ლაბორატორიაში, 9. გარემოს დაცვა სამედიცინო ლაბორატორიაში. პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. პროგრამის სახელწოდება გამომდინარეობს პროგრამის შედეგებიდან და თემატიკიდან.

ლანა გაჩეჩილაძემ ასევე ყურადღება გაამახვილა მიზანზე, პროფესიული გადამზადების პროგრამის მიზანია გადაამზადოს ბაკალავრები, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ლაბორატორიული მედიცინის კვალიფიციური კადრები, რომლებიც ეფექტურად დასაქმდებიან შრომის ბაზარზე. მსმენელები მიიღებენ თეორიულ ცოდნას და გამოუმუშავებენ პრაქტიკული უნარები ისეთ საკითხებში, როგორცაა პრენალიტიკური ფაზის განხორციელება, ანალიზური ფაზის განხორციელება, სისხლის, შარდის და სხვა ბიოლოგიური სითხეების მაკროსკოპული და მიკროსკოპული (რაოდენობრივი გაზომვები) გამოკვლევა, პოსტანალიზური ფაზის განხორციელება, საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული უსაფრთხოების, ჯანმრთელობის, შრომისა და გარემოს დაცვის აუცილებლობის გათვალისწინება საქმიანობაში. ასევე, ლაბორატორიის მიმართ საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების მოთხოვნების უზრუნველყოფა; პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა, ლაბორატორიული კვლევის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და შრომითი დანახარჯების განსაზღვრის პროცესში ლაბორატორიული მედიცინის სპეციალისტის ასისტირება; სამუშაო ადგილის, მოწყობილობა, ინვენტარის, აპარატურის დასუფთავება/დეზინფექცია და მოვლა; სამუშაო გარემოს სანიტარულ-ჰიგიენური ინსტრუქციების შესაბამისად შენარჩუნება; პროფესია გულისხმობს გამოკვლევების კლინიკური ღირებულებების ცოდნას. დაგეგმვის და მართვის გარკვეული ფუნქციების საკუთარ თავზე აღება ისეთ სამუშაო გარემოში, სადაც მოსალოდნელია არაპროგნოზირებადი ცვლილებები: პროფესია გულისხმობს გამოკვლევების კლინიკური ღირებულებების ცოდნას. დაგეგმვის და მართვის გარკვეული ფუნქციების საკუთარ თავზე აღება ისეთ სამუშაო გარემოში, სადაც მოსალოდნელია არაპროგნოზირებადი ცვლილებები. შესაბამისად, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. დაწესებულება გადამზადების პროგრამის განხორციელებას გეგმავს საკუთარ სასწავლო გარემოში, A და C გარემოში, პროგრამით გათვალისწინებული შედეგების უმეტესობა მიმართულია პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან, შპს ავერსის კლინიკასთან და სს „ევექს-ჰოსპიტლებთან“. მემორანდუმები გაფორმებულია 2021 წელს, სამი წლის ვადით, თუმცა სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან გაფორმებულ მემორანდუმში არ არის მითითებული კონკრეტული თარიღი.

ლანა გაჩეჩილაძემ ასევე ყურადღება გაამახვილა განმახორციელებელ პირებზე და მათ კვალიფიკაციაზე, მან აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 6 პირი. ყველა განმახორციელებელი პირისთვის წარმოდგენილია პროგრამის შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. პროგრამის განმახორციელებელ პირთა ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი განათლების, კვალიფიკაციისა და მიზნობრივი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

პრეზენტაციაში ასევე წარმოდგენილ იქნა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები. დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, კერძოდ:

1.1 ქვესტანდარტი - ექსპერტის მოსაზრებით სასურველია, რომ პროგრამა დამტკიცდეს (გახდეს აკრედიტირებული) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ და განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება, რათა სერტიფიცირებულ პირს ჰქონდეს უფლება სამედიცინო დაწესებულებაში შესაბამის პოზიციაზე დასაქმების.

1.9 ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებში გასწორდეს პროგრამის სახე და მიეთითოს „გადამზადება“, ასევე, პრაქტიკის სრულფასოვნად განხორციელების მიზნით, მემორანდუმებს დაერთოს იმ მატერიალური რესურსების და აღჭურვილობის ჩამონათვალი რაოდენობის მითითებით, რომლითაც მსმენელები ისარგებლებენ პრაქტიკის დროს, ასევე წინასწარ იქნეს იდენტიფიცირებული ის პირები, რომლებიც პარტნიორ ორგანიზაციაში სასწავლო პროცესს წარმართავენ.

1.10 ქვესტანდარტი - წარმოდგენილ იქნა დოკუმენტი - „პროფესიული გადამზადების პროგრამის სტუდენტის მიღწევების შეფასება ჩარჩო“, რომელიც მორგებულია უფრო მეტად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების საკითხებზე და არ არის გათვალისწინებული პროგრამების სპეციფიკა. მაგალითად ნახსენებია მოდული, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კრედიტი და ა.შ. რეკომენდირებულია შეფასების სისტემა ორიენტირებული იყოს კონკრეტულად მომზადების/გადამზადების პროგრამების სპეციფიკაზე. პრეზენტაციაში ასევე წარმოდგენილ იქნა სასწავლო გარემოების / ლაბორატორიის ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს გამოეთქვა მოსაზრება. დარგის ექსპერტი ლელი შანიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ის კი არ ეწინააღმდეგებოდა, არამედ მიესალმებოდა ასეთი პროგრამის განხორციელებას. მან აღნიშნა, რომ ლაბორატორიული მედიცინა მნიშვნელოვანია, თვითონ პროგრამა შემუშავებულია ისეთნაირად, რომ პასუხობს ყველა იმ მოთხოვნას, რაც პროგრამის მიზანში და შედეგით არის გათვალისწინებული. ასევე დასძინა, რომ წარმოდგენილ პროგრამაში გათვალისწინებულია ყველა ის საკითხი, რაც აუცილებელია სამედიცინო ლაბორატორიაში მუშაობისთვის, კერძოდ: შრომის უსაფრთხოების დაცვა სამედიცინო ლაბორატორიაში, სამუშაო გარემოს ორგანიზება, ლაბორატორიის მოწყობილობების ოპერირება, პრენალიზის, ანალიზის და პოსტანალიზური ფაზის განხორციელება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრენალიზის ფაზა, რომელსაც დიდი დრო ჰქირდება. წარმოდგენილ პროგრამაში ეს ფაზები ძალიან კარგად არის გაწერილი, თუმცა საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ექიმს აუცილებლად ესაჭიროება ტექნიკური დამხმარე, რომელიც შეასრულებს ამ სამუშაოს. ასევე საყურადღებოა, რომ ლაბორატორიებში დასაქმებულია პირები, რომელთაც აქვს საშუალო ლაბორანტის სტატუსი, ასევე საშუალო ლაბორანტის სტატუსი აქვს ექთან-ფერშალსაც, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ამ პოზიციის შემოღება. როგორც მოგეხსენებათ კანონმდებლობის თანახმად ლაბორატორიაში მუშაობის უფლება აქვთ მხოლოდ მედიკოსებს, რჩება უამრავი ბიოლოგები, ბიოქიმიკოსები, რომლებიც სწავლის დასრულების შემდეგ ვერ საქმდებიან ლაბორატორიებში ამ კანონის შემოღების შემდეგ, ვინაიდან არ ენიჭებათ ექიმ-ლაბორანტის სტატუსი. აქედან გამომდინარე ისინი მუშაობენ საშუალო ლაბორანტებად, რომელთა გადამზადებაზე და სწავლებაზე დიდი დრო მიდის. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ამ პროგრამის განხორციელება, ასევე კარგი იქნება ეს პოზიცია შევიდეს სამედიცინო ჩამონათვალის ნუსხაში ასეთივე დასახელებით.

ნანი დალაქიშვილმა ცენტრის მხრიდან მადლობა გადაუხადა ექსპერტს, განმარტა, რომ ექსპერტს რეკომენდაცია გაუწია საქართველოს ლაბორანტთა ასოციაციამ და დაამატა, რომ დიდი პატივია, თანამშრომლობა ასეთ კვალიფიციურ პირთან და გამოთქვა სურვილი

თანამშრომლობის გაგრძელების. მან ასევე მადლობა გადაუხადა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს, წარმოდგენილი კარგად გააზრებული და შედგენილი პროგრამისთვის.

შემდეგ სიტყვა ითხოვა დაწესებულების წარმომადგენელმა მარინა ფოჩუამ. მან ისაუბრა იმაზე, რომ 2015 წლის დეკემბერში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოლეკულური დიაგნოსტიკის და ბიოტექნოლოგიების ცენტრმა მოიპოვა ფოლცვაგენის ფონდის (volkswagen foundation) 3 წლიანი გრანტი: ინიციატივის: „Between Europe and the Orient – A Focus on Research and Higher Education in/on Central Asian and the Caucasus” ფარგლებში. ამ გრანტის ფარგლებში დაგეგმილი იყო ახალი სასწავლო კურსის დანერგვა „მოლეკულური მეთოდები ბიოსამედიცინო მეცნიერებებში“-ში, კურსი უზრუნველყოფილი იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და მოლეკულური/ უჯრედული ბიოლოგიის საერთაშორისო ექსპერტების მიერ, ძირითადად ჰანოვერის სამედიცინო უნივერსიტეტიდან. დიდი წვლილი ამ პროცესში შეიტანა ჰანოვერის სამედიცინო უნივერსიტეტმა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პროფესორმა ულრიხ მარტინმა.

შესწავლილ იქნა დღეს არსებული სიტუაცია ამ სფეროში დასაქმების კუთხით, რის შედეგადაც გამოიკვეთა საშუალო რგოლის, პროფესიულ განათლებაში მომზადებული კვალიფიციური კადრების ნაკლებობა შრომის ბაზარზე.

დადგენილი წესის, მეთოდოლოგიისა და ფორმების შესაბამისად, დასაქმებისა და განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორების (ISCO და ESCED) და საქართველოში, ასევე მის ქვეყნის გარეთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, იქნა შემუშავებული პროფესიული გადამზადების პროგრამა. მან დასძინა, რომ უახლესი ამოცანაა გაჩაღდეს დიდი ადვოკატირების პროცესი, როგორც ექსპერტმა აღნიშნა და ეს პოზიცია დაემატოს სამედიცინო ჩამონათვალის ნუსხას. მან მადლობა გადაუხადა ცენტრს, ნანი დალაქიშვილს, ლანა გაჩეჩილაძეს ასეთი ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის და მხარდაჭერისთვის და დააფიქსირა, რომ ყველა რეკომენდაციას გაითვალისწინებდა დაწესებულება.

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა რომეო გალდავამ მადლობა გადაუხადა ყველას მხარდაჭერისთვის და აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია გაზიარებული და გათვალისწინებული იქნებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის – „ლაბორატორიის სამედიცინო ტექნიკური ასისტენტი“ /01138/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131

დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის №358 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად,

შპს - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 205224700) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ლაბორატორის სამედიცინო ტექნიკური ასისტენტი / 01138 (დანართი 3).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 6 აგვისტო.

6. ა(ა)იპ აგროსერვისისთვის „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სპეციალიზებული სარეალიზაციო ობიექტის კონსულტანტი“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ექსპერტის და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა დარგის ექსპერტმა მანანა კუპატაძემ. მან აღნიშნა, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 16 ივლისის №717393 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლანა გაჩეჩილაძემ და დარგის ექსპერტმა ნიკოლოზ კიკნაველიძემ შეისწავლეს პროფესიული გადამზადების პროგრამის „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სპეციალიზირებული სარეალიზაციო ობიექტის კონსულტანტი“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი დისტანციურად და 2021 წლის 23 და 26 ივლისს განახორციელეს კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ა(ა)იპ - აგროსერვისის წარმომადგენლებთან გასაუბრება. ასევე, გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი.

პროფესიული გადამზადების პროგრამა - „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სპეციალიზებული სარეალიზაციო ობიექტის კონსულტანტი“, მეოთხე დონე, სწავლების ენა - ქართული, პროგრამის ხანგრძლივობა - 4 კვირა, მოთხოვნილი მსმენელთა ზღვრული რაოდენობა განხორციელების ადგილების მიხედვით: ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. №80 – 18 მსმენელი; ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14 – 18 მსმენელი; ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №111; გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. კაჭრეთი - 18 მსმენელი; ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. №61 – 18 მსმენელი; ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. №10 – 14 მსმენელი.

ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ ა(ა)იპ აგროსერვისი ორიენტირებულია საქართველოში სოფლის მეურნეობის დინამიურ განვითარებაზე, აგრარულ სფეროში მოღვაწეთა ცნობიერების ამაღლებაზე, ფერმერთა კონსულტირებაზე, ტრენინგებისა და სემინარების ჩატარების უზრუნველყოფაზე. მათ პროფესიით დაინტერესებული პირებისაგან/ორგანიზაციებისგან

მიიღეს მოთხოვნა და შესაბამისად შეიმუშავეს წარმოდგენილი გადამზადების პროგრამა „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სპეციალიზირებული სარეალიზაციო ობიექტის კონსულტანტი“. დაწესებულების განაცხადში წარმოდგენილია პროგრამის საჭიროების დასაბუთება. პროგრამა შემუშავებულია სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების ჩართულობით და მორგებულია ყველა დაინტერესებულ ბიზნესოპერატორზე, რომლებიც პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სპეციალიზირებულ სარეალიზაციო ობიექტებში ოპერირებს. სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ამ დარგის ბიზნესოპერატორების სწორად გადამზადებას, რადგან მათ პირდაპირი შეხება აქვთ, ფერმერებთან. ორგანიზაცია პროგრამის შემუშავებისას დაეყრდნო პროგრამის განამახორციელებელი პირების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, კერძოდ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეალიზაციო პუნქტების მონიტორინგის მოკლე სტატისტიკურ ცნობას.

თავის პრეზენტაციაში ლანა გაჩეჩილაძემ ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამის დოკუმენტში დაშვების წინაპირობის ველში მითითებულია „სამუშაო გამოცდილება“, თუმცა დაკონკრეტებული არ არის, ამავედროულად პროგრამის მიზანში ვკითხულობთ, „პროგრამის მიზანია გადამზადოს პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სპეციალიზირებულ სარეალიზაციო ქსელში მომუშავე პერსონალი ან პირი“, რაც გასაუბრებისას დაადასტურეს დაწესებულების წარმომადგენლებმა. რეკომენდირებულია აღნიშნული მიეთითოს პროგრამის დოკუმენტში დაშვების წინაპირობის ველში. ასევე, გამომდინარე იქიდან, რომ პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამყიდველ-კონსულტანტს პირდაპირი შეხება აქვს შხამქიმიკატებთან, მსმენელთა შერჩევას რეკომენდირებულია ყურადღება გამახვილდეს პესტიციდებისა და აგროქიმიკატების უსაფრთხოდ გამოყენების ელემენტარული წესების ცოდნაზე.

რაც შეეხება, იმას რომ განაცხადში მითითებულია პროგრამის განხორციელების 6 ადგილი, საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, პროგრამის განმახორციელებლების რაოდენობის გათვალისწინებით, რეკომენდირებულია, პროგრამა ხორციელდებოდეს ერთდროულად მხოლოდ ორ რეგიონში, განხორციელების 2 ადგილზე და A გარემოში მუშაობის დროს დღიური საათობრივი დატვირთვა არ აღემატებოდეს 3 საათს, რადგან თემატიკა არის მოცულობითი და მოითხოვს საკანონმდებლო ბაზებთან მუშაობას.

ასევე გამახვილებული იქნება ყურადღება პარტნიორ ორგანიზაციებთან დაკავშირებით, რომლებიც (ერთის გარდა - შპს „ალვა“ ფუნქციონირებს ქ. საჩხერეში), შერჩეულია თეორიული სწავლების განხორციელების ადგილის შესაბამისად, იმავე ქალაქში. აგროსერვისის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ქუთაისიდან საჩხერემდე მსმენელთა ტრანსპორტირებას თავად უზრუნველყოფენ. მიზანშეწონილად ჩათვალეს შპს „ალვაში“ განხორციელდეს პრაქტიკა, ვინაიდან ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესები სრულყოფილად შეესაბამება/პასუხობს პროგრამის შინაარსს.

რაც შეეხება ადამიანურ რესურსს, როგორც ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, პროექტი განხორციელდება საქართველოს ექვს რეგიონში, განმახორციელებელ პირებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ერთი კონკრეტული სამუშაო ადგილი არ არის მითითებული. ორგანიზაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის განმახორციელებლების რაოდენობის გათვალისწინებით, პროგრამის განხორციელება იგეგმება ერთდროულად მხოლოდ რომელიმე ორ განხორციელების ადგილზე. პროგრამის განმახორციელებლების მივლინების და საცხოვრებელ ხარჯებს ორგანიზაცია დაფარავს. განმახორციელებლებთან გასაუბრებისას მათი მხრიდან ამგვარ თანამშრომლობაზე მზაობა გამოიხატა. მათ ასევე აღნიშნეს, რომ საგანმანათლებლო საქმიანობას არ უკრძალავს ძირითადი სამსახური (სურსათის ეროვნული სააგენტო) და ამ პროგრამაში ჩართულობა შეთანხმებულია ხელმძღვანელობასთან. მათ საქმიანობას ხელი არ შეეშლება, რამდენადაც დისტანციურადაც შეძლებენ სამუშაოს შესრულებას, სამსახურში ფიზიკური ყოფნის გარეშე და ეს დასაშვებია. ამდენად, იმ

გარემოების გათვალისწინებით, რომ პროგრამის განხორციელება იგეგმება ერთდროულად მხოლოდ რომელიმე ორ განხორციელების ადგილზე, პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით.

პროგრამა ხორციელდება ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ფართში. ქვეყნის მასშტაბით 6 მისამართზე: შპს მარნეულის კოლეჯში, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, სსიპ კოლეჯ „ოპიზარში“, სსიპ კოლეჯ „აისში“, სსიპ კოლეჯ „იბერიაში“, სსიპ კოლეჯ „ერქვანში“, უფლებამოსილი უწყების მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნების თანახმად, თითოეულ მისამართზე მდებარე შენობების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია / მდგრადია.

ორგანიზაციის საქმიანობის სფეროა - „მემცენარეობა და მეცხოველეობა, ნადირობა და აღნიშნულ სფეროებში მომსახურების გაწევა“. არაფორმალური განათლების ფარგლებში აქვს კადრების მომზადების/ გადამზადების გამოცდილება. ამდენად, წარმოდგენილი პროგრამის ჭრილში კარგად აანალიზებს შრომის ბაზრის საჭიროებებს. მჭიდროდ თანამშრომლობენ სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან, რაც დასტუდება წარმოდგენილი განმახორციელებლების ჩართულობით. შესაბამისად, იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილის შესაბამისი დარგის განვითარებაში.

პრეზენტაციის ბოლოს ლანა გაჩეჩილაძემ წარმოადგინა დაწესებულებაში ვიზიტის დროს დაფიქსირებული ხარვეზი და რეკომენდაციები, კერძოდ დაფიქსირებული ხარვეზი:

2.4 ქვესტანდარტი - მისამართებისთვის წარმოდგენილია სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ „სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობები“, სხვადასხვა მისამართისთვის სხვადასხვა დროს გაცემული, რომლის თანახმად თითოეულ საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებელი აქვს რიგი აქტივობები, თუმცა ამ აქტივობების შესასრულებლად განკუთვნილი ვადები ყველა მიწერილობის შემთხვევაში გასული იყო დისტანციური ვიზიტის დროს და განმეორებითი შეფასებები განხორციელებული არ იყო. უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის გარეშე (ქვესტანდარტის მიხედვით მტკიცებულების გარეშე), ექსპერტის და საბჭოს აპარატის წარმომადგენლის მიერ, კომპეტენციის ფარგლებში, ვერ დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.

გაცემული რეკომენდაციები:

1.4 ქვესტანდარტი - პროგრამის დოკუმენტში, დაშვების წინაპირობის ველში, მითითებულია „სამუშაო გამოცდილება“, თუმცა დაკონკრეტებული არ არის, ამავედროულად პროგრამის მიზანში ვკითხულობთ, „პროგრამის მიზანია გადამზადდეს პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სპეციალიზებულ სარეალიზაციო ქსელში მომუშავე პერსონალი ან პირი“, რაც გასაუბრებისას დაადასტურეს დაწესებულების წარმომადგენლებმა. რეკომენდირებულია აღნიშნული მიეთითოს პროგრამის დოკუმენტში დაშვების წინაპირობის ველში. ასევე, გამომდინარე იქიდან, რომ პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამყიდველ-კონსულტანტს პირდაპირი შეხება აქვს შხამქიმიკატებთან, მსმენელთა შერჩევას რეკომენდირებულია ყურადღება გამახვილდეს პესტიციდებისა და აგროქიმიკატების უსაფრთხოდ გამოყენების ელემენტარული წესების ცოდნაზე.

1.6 ქვესტანდარტი - პროგრამაში, ველში სადაც ყველა სწავლის შედეგი ერთადაა ჩამოთვლილი ფიქსირდება მეხუთე სწავლის შედეგიც, „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო კატალოგით სარგებლობა“, რომელიც არცერთ კვირაში არ არის მითითებული. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის შემუშავების ეტაპზე ცალკე შედეგად იყო წარმოდგენილი ეს შედეგი და ჩამონათვალში ტექნიკურად დარჩა, თუმცა საბოლოო ვერსიაში შედეგის ცალკე გამოტანა არ მიიჩნიეს მიზანშეწონილად და ეს შედეგი კომბინირებულია

მეოთხე სწავლის შედეგში და თემატიკებში. რეკომენდირებულია, გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა და ამოღებულ იქნეს დასახელებული მეხუთე სწავლის შედეგი ჩამონათვალიდან.

1.8 ქვესტანდარტი - განაცხადში მითითებულია პროგრამის განხორციელების 6 ადგილი, საქარველოს სხვადასხვა ქალაქში. პროგრამის განმახორციელებლების რაოდენობის გათვალისწინებით, რეკომენდირებულია, პროგრამა 4 კვირის განმავლობაში ხორციელდებოდეს ერთდროულად მხოლოდ ორ რეგიონში, განხორციელების 2 ადგილზე, ასევე, A გარემოში მუშაობის დროს დღიური საათობრივი დატვირთვა არ აღემატებოდეს 3 საათს, რადგან თემატიკა არის მოცულობითი და მოითხოვს საკანონმდებლო ბაზებთან მუშაობას.

3.2 ქვესტანდარტი - ორგანიზაციას აქვს „გადამზადების პროგრამაზე მსმენელის შერჩევის, ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მართვის წესი“ ასევე „ პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა შერჩევის, მსმენელის სტატუსის მინიჭების და შეწყვეტის წესი“ რომელთა შესაბამისადაც გეგმავს მსმენელთა შერჩევას. აღნიშნული დოკუმენტები შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №71/ნ ბრძანების „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად. რეკომენდირებულია გადაიხედოს ეს დოკუმენტები და დუბლირებული კომპონენტები გაიმიჯნოს შინაარსობრივად, ან ჩამოყალიბდეს ერთიან დოკუმენტში.

3.4 ქვესტანდარტი - „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში“ არ ჩანს რა ინსტრუმენტებს იყენებს ხარისხის უზრუნველსაყოფად, თუმცა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შემუშავდება სხვადასხვა კითხვარები და გარკვეული პერიოდულობით მოხდება ანალიზი, რომლის საფუძველზეც პროგრამის გაუმჯობესება მოხდება. რეკომენდირებულია დაიხვეწოს დოკუმენტი - „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ და აღნიშნული განმარტებები დეტალურად იქნეს დოკუმენტში გათვალისწინებული.

ასევე საბჭოს წევრებს ლანა გაჩეჩილაძემ გაუზიარა ფოტო მასალა.

მარიამ ქუჩულორია მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ იზიარებდნენ ექსპერტის მიერ დაფიქსირებულ ხარვეზს და გაცემულ რეკომენდაციებს, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებითი რეკომენდაციები იქნა გაცემული და ასევე ვიზიტის დროს მნიშვნელოვანი განხილვები ჰქონდათ ექსპერტთან და ცენტრის წარმომადგენელთან.

მარიამ ქუჩულორია დაინტერესდა, ხომ არ აპირებდნენ დამატებით სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დამატებით აპირებდნენ თანამშრომლობას, ვინაიდან ძალიან საშიშია ამ ნივთიერებთან მუშაობა და დაიგეგმება შიდა ტრენინგებიც. დამატებით დაწესებულებების დამატებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ სასურველი იქნებოდა ისეთ დაწესებულებებთან თანამშრომლობა რომელიც ამ სტანდარტებს აკმაყოფილებს.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს ხომ არ დაამატებდა რამეს, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ცენტრის წარმომადგენელმა ამომწურავი პრეზენტაცია წარმოადგინა და ვერაფერს დაამატებდა, ვინაიდან რაც რეკომენდაციები გაიცა ექსპერტების მიერ ასახული იყო დასკვნაში და პრეზენტაციაში, და დაამატა, რომ მისასალმებელია ასეთი მიმდებლობა დაწესებულების მხრიდან.

ლანა გაჩეჩილაძემ დაამატა, რომ წარმოდგენილ პროგრამაში ჩართულია 2 განმახორციელებელი პირი, რომლებიც დასაქმებული არიან სურსათის ეროვნულ სააგენტოში, უშუალოდ მოქმედი სპეციალისტები არიან, აქცენტი გააკეთეს განმახორციელებლების შესაბამის კვალიფიკაციაზე, ამიტომ არ აყავთ დამატებით განმახორციელებელი, მათ

დაგეგმილი აქვთ დაფარონ სხვადასხვა რეგიონი და ტერიტორიულად მსმენელებზე ორიენტირებული არიან. მარიამ ქუჩულორია მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, მეცადინეობების დისტანციურად ჩატარების შესახებ, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შესაძლებელია რა თქმა უნდა დისტანციურად განხორციელება, თუმცა უფრო ეფექტური იქნებოდა მსმენელებთან უშუალო ურთიერთობით მეცადინეობის წარმართვა.

ლანა გაჩეჩილაძემ საბჭოს მიაწოდა შემავსებელი ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით, მან განმარტა, რომ განმახორციელებლების ძირითადი საქმიანობის პარალელურად დისტანციურად განხორციელებოდა სწავლება, რაც ემსახურება დარგის განვითარებას. დარგის ექსპერტმა დაამატა ორ განმახორციელებელ პირთან დაკავშირებით, რომ მათ ჰქონდათ გამოცდილება, ვინაიდან ეწეოდნენ ასეთი სახის საქმიანობას ტრენინგების სახით, სწორედ აქედან გამომდინარე იქნა მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ ორ რეგიონში განხორციელებინათ ერთდორულად პროგრამა ხარისხიანი შედეგის მისაღწევად.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ მათ თავიდან ჰქონდათ მოსაზრება ფერმერთა მომსახურების ცენტრებში წარმართულიყო სასწავლო პროცესი, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტი, ვინაიდან ეს ცენტრები სრულად არის აღჭურვილი, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა ამ ცენტრებს არ ჰქონდათ, ეს შემაფერხებელი ფაქტორი აღმოჩნდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ა(ა)იპ აგროსერვისისთვის „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სპეციალიზებული სარეალიზაციო ობიექტის კონსულტანტი“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის №358 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად,

ა(ა)იპ აგროსერვისს (ს/კ: 202241742) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სპეციალიზებული სარეალიზაციო ობიექტის კონსულტანტი / 01118 (დანართი 4).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 6 აგვისტო.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 16:02 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა



დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01132	ტიხრული მინანქრის ნაკეთობების დამზადება	პროფესიული მომზადება	მესამე	12	ქართული	14	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ქ. №52

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
00847	მარკეტინგისა და გაყიდვების სპეციალისტი - მარკეტერი	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	12	ქართული	100	ქ. თბილისი, რუსთავეის გზატკეცილი 18/22

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01138	ლაბორატორიის სამედიცინო ტექნიკური ასისტენტი	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	24	ქართული	20	ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. №26

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01118	პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სპეციალიზებული სარეალიზაციო ობიექტის კონსულტანტი	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	4	ქართული	18	ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. №80
						18	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14
						18	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №111
						18	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. კაჭრეთი
						18	ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. №61
						14	ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. №10